

დასაქმებულთა დაცვის სფეროში ასოცირების შეთანხმების ვალდებულებების შესრულების შეფასების მატრიცის კომენტარები

შეფასების საგანი

შეფასებულია "ერთის მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების" IV კარის მე-13 თავით, VI კარის მე-14 თავით, და XXX დანართით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება 2021 წლის მარტის მდგომარეობით. შეფასებისთვის გამოყენებულია შეთანხმების პრეამბულის 31-ე პუნქტის, აგრეთვე 419 მუხლის მე-2 პუნქტითა და XI-A დანართით განსაზღვრული მიდგომა, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართული კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპულ შესაბამის აქტებთან, არამედ აგრეთვე მათი ეფექტური იმპლემენტაცია/აღსრულება.

განმახორციელებელი

ეს შეფასება განხორციელებულია ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის "საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი" (CSRDG) მიერ, მისი თანამშრომლის, ევროასოცირების პროგრამის კოორდინატორის, ლია თოდუას (lia.todua@csrdg.ge) საშუალებით.

შეფასების შედეგები განთავსებულია "საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის" ვებ-გვერდზე ასოცირება-ჯი, მისამართზე: <https://www.asocireba.ge/timeline>.

სამუშაო დაფინანსებულია ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა" ფარგლებში. თანადაფინანსება უზრუნველყოფილია "პური მსოფლიოსთვის – Brot für die Welt (BtW)" მიერ დაფინანსებული CSRDG ძირითადი პროექტით.

ამ დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია "საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი" და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა ან კონრად ადენაუერის ფონდის ან პური მსოფლიოსთვის – Brot für die Welt (BtW) შეხედულებებს.

კონტაქტისთვის გთხოვთ გამოიყენოთ ელ-ფოსტა: asocireba.ge@gmail.com ან

მეთოდოლოგია

შეფასებისთვის გამოყენებულია CSRDG მიერ დაქირავებული ექსპერტის მიერ მომზადებული მეთოდოლოგია (იხ.

(<http://asocireba.ge/files/Murgulia-EUGAA-Monitoring-CSO-Methodology-2020.pdf>) და

შეფასების მატრიცა (იხ.

(<http://asocireba.ge/files/MurguliaAAImplementationAssessmentTable.xlsx>), რომელშიც

განხორციელდა შემდეგი მოდიფიკაცია:

1. შეიცვალა მსხვილი კომპონენტების ფარდობითი წონა:

კომპონენტი/პერიოდი	კომპონენტის ფარდობითი წონა - შ. მურლულის ვერსია	კომპონენტის ფარდობითი წონა - ჩვენი მოდიფიკაცია
მოსამზადებელი პერიოდი	20%	25%
შესრულების პერიოდი	50%	25%
აღსრულების პერიოდი	30%	50%

2. აღსრულების ფაზას დაემატა კიდევ ერთი კრიტერიუმი: ვალდებულების შესრულების (თვით)მონიტორინგი და უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდა არსებული კრიტერიუმების დასახელებები:

კრიტერიუმის ნომერი	კრიტერიუმის დასახელება: შ. მურლულის ვერსია	კრიტერიუმის დასახელება: ჩვენი მოდიფიკაცია
1.1	გამოყოფილი დროის შესაბამისობა	რეფორმისთვის გამოყოფილი დროის შესაბამისობა
1.2	პასუხისმგებელი უწყების კომპეტენცია და შესაძლებლობა	პასუხისმგებელი უწყების კომპეტენცია და შესაძლებლობა
1.3	მოსალოდნელი ეფექტების შესწავლის ხარისხი	მოსალოდნელი ან მონიტორინგისას გამოვლენილი პრობლემების შესწავლა და განეიტრალება/რეაგირება ¹
1.4	პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა	პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა
2.1	ვალდებულების შესრულების დადასტურება	ვალდებულების იურიდიული ბაზის უზრუნველყოფა

¹ აქ მოიაზრება საქმიანობები არა მხოლოდ მოსამზადებელ სტადიაზე, არამედ აგრეთვე შემდგომ, განხორციელებისას აღმოჩენილი ხარვეზების კორექტირების პროცესი. ამ კრიტერიუმის ამგვარი განვრცობა საშუალებას აძლევს განმახორციელებელ უწყებას დროთა განმავლობაში გამოასწოროს ეს მაჩვენებელი.

2.2	ვალდებულების დროული შესრულება	ვალდებულების იურიდიული ბაზის მიღების და ამოქმედების დროულობა
2.3	ვალდებულების შესრულების სისრულე	ვალდებულების იურიდიული ბაზის ძალაში ყოფნა ²
3.1	ვალდებულების შესრულების შედეგად მიღებული ეფექტი	ვალდებულების შესრულების შედეგად მიღებული ეფექტი (სამიზნესთან მიმართებაში)
3.2	პასუხისმგებელი უწყების საქმიანობის შეფასება	პასუხისმგებელი უწყების ადეკვატური საქმიანობა (გარდა მონიტორინგისა, კანონშემოქმედებისა და ანგარიშგებისა)
3.3		ვალდებულების შესრულების მონიტორინგი
3.4	ვალდებულების შესრულების შესახებ ანგარიშგება	ვალდებულების შესრულების შესახებ ანგარიშგება

3. შეიცვალა "შესრულების პერიოდის" კრიტერიუმების ფარდობითი წონები. კერძოდ მინიმუმამდე (10%-მდე) შემცირდა "დროულობის" კრიტერიუმის წონა, ვინაიდან განსხვავებით სხვა კრიტერიუმებისგან ეს კრიტერიუმი სტატიკურია და მომავალი შეფასებებისას იგი არ შეიცვლება (უწყებას მისი გამოსწორება არ შეუძლია)

კრიტერიუმი	კრიტერიუმის წონა - შ. მურულუიას ვერსია	კრიტერიუმის წონა - ჩვენი მოდიფიკაცია
ვალდებულების იურიდიული ბაზის უზრუნველყოფა	40%	45%
ვალდებულების იურიდიული ბაზის მიღების და ამოქმედების დროულობა	30%	10%
ვალდებულების იურიდიული ბაზის ძალაში ყოფნა	30%	45%

4. შეიცვალა "აღსრულების პერიოდის" კრიტერიუმების წონები:

კრიტერიუმი	კრიტერიუმის წონა - შ. მურულუიას ვერსია	კრიტერიუმის წონა - ჩვენი მოდიფიკაცია
------------	--	--------------------------------------

² შეფასების მომენტისთვის

ვალდებულების შესრულების შედეგად მიღებული ეფექტი (სამიზნესთან მიმართებაში)	40%	30%
პასუხისმგებელი უწყების ადეკვატური საქმიანობა (გარდა მონიტორინგისა, კანონშემოქმედებისა და ანგარიშგებისა)	30%	30%
ვალდებულების შესრულების მონიტორინგი		20%
ვალდებულების შესრულების შესახებ ანგარიშგება	30%	20%

გარდა ამისა, ჩვენი შეფასება **ეყრდნობა მხოლოდ ღია მასალებს**. კერძოდ, გამოყენებულია:

- ინტერნეტში, ღია წვდომაში არსებული მასალები
- სხვადასხვა უწყებებიდან მიღებული ოფიციალური წერილები, რომლებიც ჩვენს მიერ განთავსებულია ღია წვდომაში, ასოცირება-ჯი ვებ-გვერდზე.

ინფორმაციის წყაროების ასეთი შეზღუდვის გამო, შეფასების მატრიცაში განხორციელდა შემდეგი **დამატებითი ცვლილება: იმ ინდიკატორის წონა, რომლებიც არსებულ ეტაპზე არაადეკვატურია, ან რომელთა შესახებ ინფორმაციის ღია წვდომაში არ არის და ამავე დროს ჩვენს მიერ ამ ინფორმაციის გამოთხოვის მიზანმიმართული მცდელობა არ ყოფილა ან უშედეგო იყო, გატოლებულია ნულს**. პრაქტიკულად ეს გამოიხატა იმაში, რომ ყოველი ვალდებულების შესრულების მატრიცას დაემატა სვეტი "კორექტირებული წონა", რომელიც იანგარიშება ასე:

- თუკი კრიტერიუმს კომენტარი არ ახლავს, მისი კორექტირებული წონა გატოლებულია ნულს;
- თუკი კრიტერიუმის გასწვრივ კომენტარის ველში რაიმე წერია, კრიტერიუმის წონა აღარ არის ნულის ტოლი და მისი მნიშვნელობა გამოიშვლება იმგვარად, რომ ა) ერთის მხრივ შენარჩუნდეს კრიტერიუმების წონათა შეფარდებები (ვალდებულების განხორციელების პერიოდის³ ფარგლებში), ხოლო ბ) მეორეს მხრივ კორექტირებულ წონათა ჯამმა (პერიოდის ფარგლებში) 100% შეადგინოს. იხ. მეგალითი:

³ იგულისხმება მატრიცის "A" სვეტში მოცემული პერიოდები: 1. მოსამზადებელი პერიოდი, 2. შესრულების პერიოდი, 3. აღსრულების პერიოდი.

G13 - fx =IF(ISBLANK(K13)=TRUE,0,1/\$J\$12*F13)													
	A	B	D	E	F	G	H	I	J	K	L	M	
5			ჯამური შეფასება	0.05						იხ. ყველა კომენტარი			
6		კომპონენტის წონა		ინდიკატორის შეფასება (0-4)	ინდიკატორის წონა	კორექტირებული წონა	ინდიკატორის შეფასება (ჯედა X კორექტირებული წონა)/4	კომპონენტის შეფასება		კომენტარი			
7		100%	ჯამური მაჩვენებელი		100%	0%							
8	1. მოსალოდნელი პერიოდი	25%	1.1 რეფორმისთვის გამოყოფილი დროის შესაბამისობა	0	25%	0%	0.00	0.00					
9			1.2 პასუხისმგებელი უწყების კომპეტენცია და შესაძლებლობა	0	25%	0%	0.00						
10			1.3 მოსალოდნელი ან მონიტორინგისას გამოვლენილი პრობლემების შესწავლა და განვითარება/რეაგირება	0	25%	0%	0.00						
11			1.4 პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა	0	25%	0%	0.00						
12					100%	100%							
13	2. შესრულების პერიოდი	25%	2.1 ვალდებულების იურიდიული ბაზის უზრუნველყოფა	1	45%	82%	0.20	0.20		45%	მომზადებულია მხოლოდ პროექტი		
14			2.2 ვალდებულების იურიდიული ბაზის მიღების და ამოქმედების დროულობა	0	10%	18%	0.00			10%	ვადა გადაცილებულია 3 წლით		
15			2.3 ვალდებულების იურიდიული ბაზის ძალაში ყოფნა	0	45%	0%	0.00						
16					100%	0%							
17	3. აღსრულების პერიოდი	50%	3.1 ვალდებულების შესრულების შედეგად მიღებული ეფექტი (სამიზნესთან მიმართებაში)	0	30%	0%	0.00	0.00					
18			3.2 პასუხისმგებელი უწყების ადეკვატური საქმიანობა (გარდა მონიტორინგისა, კანონმდებლობისა და ანგარიშგებისა)	0	30%	0%	0.00						
19			3.3 ვალდებულების შესრულების მონიტორინგი	0	20%	0%	0.00						
20			3.4 ვალდებულების შესრულების შესახებ ანგარიშგება	0	20%	0%	0.00						

აღნიშნული მიმართულების შესრულების შეფასების მატრიცა სრულად იხ ბმულზე:

https://docs.google.com/spreadsheets/d/1_mtSqQVVpRgznMBkH6hagLcaJxjxSD5gmdXnBjtJmlQ/edit?usp=sharing

ქვემოთ მოცემულია კომენტარები თითოეული ვალდებულების შეფასების ცხრილზე

ვალდებულება 1-1. იძულებითი და სავალდებულო შრომის აკრძალვა

შესაბამისობა [ILO კონვენცია №29](#)-თან და [ILO კონვენცია №105](#)-თან

ვადა: არ არის დადგენილი

ჯამური შეფასება	0.76
-----------------	------

1.1 რეფორმისთვის გამოყოფილი დროის შესაბამისობა	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.2 პასუხისმგებელი უწყების კომპეტენცია და შესაძლებლობა	3
--	---

ტრეფიკინგი [სისხლის სამართლის დანაშაულია](#) და პოლიცია/პროკურატურა არის ამ დანაშაულის გამოვლენი ორგანო. შრომის კოდექსის 2020 წლის 29 სექტემბრის ცვლილებით იძულებითი შრომის-ტრეფიკინგის ამკრძალავი ნორმების დარღვევის კონტროლი დაევალა შრომის ინსპექციასაც.

საქართველოში მოქმედებს სსიპ [სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტო \(2006-დან 2020-მდე ამ სსიპ-ს ერქვა ადამიანთ ვაჭრობის \(ტრეფიკინგის\) მსხვერპლთა დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი\)](#) და შესაბამისი [უნწყებათაშორისი საბჭო](#)

1.3 მოსალოდნელი ან მონიტორინგისას გამოვლენილი პრობლემების შესწავლა და განეიტრალება/რეაგირება	2
--	---

მთავრობის მიერ ტრეფიკინგის და იძულებითი შრომის შემთხვევების გამოვლენის არაეფექტურობის პრობლემა იდენტიფიცირებულია, გადაჭრის მცდელობები არის, მაგრამ არაეფექტურია.

სახელმწიფოს განმარტებით, ექსპლუატაციის და იძულებითი შრომის გამოვლენა პრობლემად რჩება. შექმნილია სამუშაო ჯგუფი გენპროკურატურაში, სპეციალურად ამ საკითხზე. პრობლემის გადაჭრა ჯერჯერობით ვერ ხერხდება (იხ.

https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---declaration/documents/publication/wcms_752635.pdf)

2021 წლიდან ტრეფიკინგის და იძულებითი შრომის შემთხვევების გამოვლენის ფუნქცია აგრეთვე დაევალა შრომის ინსპექციას. არესებობს [2016 წლის 112 დადგენილებით](#) დამტკიცებული "იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესი", რომლითაც ინსპექციამ უნდა იხელმძღვანელოს. 2020 წლის 23 დეკემბერს ამ წესში [ცვლილებებიც](#) შევიდა. რამდენად ეფექტური იქნება ეს ცვლილებები, ჯერ უცნობია.

1.4 პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა	3
---	---

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუნწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს [შემადგენლობაში](#), გარდა მთავრობის და პარლამენტისა, წარმოდგენილია:

- [საქართველოს სახალხო დამცველი](#),
- [საქართველოში ევროკავშირის დელეგაცია](#),
- ევროსაბჭოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში ([ევროსაბჭოს ოფისი საქართველოში](#)),
- [გაეროს ბავშვთა ფონდი](#),
- [ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს \(USAID\) საქართველოს მისია](#),
- [აშშ-ის საელჩო](#),
- [საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ტრეფიკინგის სანინააღმდეგო პროგრამა](#),
- [მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი](#)
- [საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“](#),
- [საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია](#),
- [სამოქალაქო განვითარების სააგენტო](#),
- [ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი](#)

2.1 ვალდებულების იურიდიული ბაზის უზრუნველყოფა	4
---	---

იძულებითი შრომის აკრძალვა ნორმატიულად დადგენილია:

- საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 26) შრომა თავისუფალია.
- საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლით შრომითი ურთიერთობა ორივე მხრის თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად წარმოიშობა.

გარდა ამისა, საქართველოს რატიფიცირებული აქვს:

- ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის ოქმი "ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ" და
- ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე,

და ძალაშია შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა:

- 2006 წლის კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ,
- ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაციის ერთიანი ნესი,
- იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების ნესი .
- შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმის ფორმა

2.2 ვალდებულების იურიდიული ბაზის მიღების და ამოქმედების დროულობა	0
--	---

ვადა დადგენილი არ ყოფილა

2.3 ვალდებულების იურიდიული ბაზის ამოქმედება	4
---	---

ყველა მოხსენიებული ნორმა ძალაშია

3.1 ვალდებულების შესრულების შედეგად მიღებული ეფექტი (სამიზნესთან მიმართებაში)	1
---	---

სავარაუდოდ იძულებითი შრომა აღმოფხვრილი არ არის (თავად მთავრობა აღიარებს, რომ პრობლემას ვერ ერევა

(https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---declaration/documents/publication/wcms_752635.pdf)

3.2 პასუხისმგებელი უწყების ადეკვატური საქმიანობა (გარდა მონიტორინგისა, კანონშემოქმედებისა და ანგარიშგებისა)	0
---	---

ინფორმაცია არ არის

3.3 ვალდებულების შესრულების მონიტორინგი	4
---	---

სავარაუდოდ ხორციელდება. ხელმისაწვდომი ანგარიშები:

- ILO-სადმი საქართველოს მიერ გაგზავნილი [2018-2019 წწ ინფორმაცია](#)
- 2017 წლის IOM ანგარიში [Needs Assessment: Counter-trafficking Response in the Republic of Georgia](#)

3.4 ვალდებულების შესრულების შესახებ ანგარიშგება	4
---	---

ხორციელდება ანგარიშგება ILO-სთან

(https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_norm/---declaration/documents/publication/wcms_752635.pdf). სავარაუდოდ ხორციელდება შიდა ანგარიშგებაც.

ვალდებულება 1-2. ბავშვთა შრომის აკრძალვა

შესაბამისობა [ILO კონვენცია №138](#)-თან და [ILO კონვენცია №182](#)-თან

ვადა: არ არის დადგენილი

ჯამური შეფასება	0.38
-----------------	------

1.1 რეფორმისთვის გამოყოფილი დროის შესაბამისობა	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.2 პასუხისმგებელი უწყების კომპეტენცია და შესაძლებლობა	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.3 მოსალოდნელი ან მონიტორინგისას გამოვლენილი პრობლემების შესწავლა და განეიტრალება/რეაგირება	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.4 პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა	0
---	---

ინფორმაცია არ არის

2.1 ვალდებულების იურიდიული ბაზის უზრუნველყოფა	4
---	---

აკრძალვა დადგენილია - [საქართველოს შრომის კოდექსი](#), მუხლი 10

2.2 ვალდებულების იურიდიული ბაზის მიღების და ამოქმედების დროულობა	0
--	---

ინფორმაცია არ არის

2.3 ვალდებულების იურიდიული ბაზის ამოქმედება	4
---	---

აკრძალვა ძალაშია 2010 წლიდან (იხ. [საქართველოს შრომის კოდექსის](#) პირველადი ვერსია)

3.1 ვალდებულების შესრულების შედეგად მიღებული ეფექტი (სამიზნესთან მიმართებაში)	1
---	---

ომბუდსმენის 2017 წლის ანგარიშში საუბარია ბავშვთა შრომით ექსპლუატაციაზე ბიოლოგიურ ოჯახებში, აგრეთვე შრომით მიგრაციაზე საზღვარგარეთ:

- განსაკუთრებით პრობლემატურია „სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ“ და „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციების ეროვნულ დონეზე ეფექტიანი აღსრულება.
- არ მოქმედებს ეფექტიანი მონიტორინგისა და შემთხვევითა გამოვლენის სისტემა.
- 2015–16 წლებში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა გამოაქვეყნა სახელმწიფო მშრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრირებულ ბავშვთა საფარული შრომითი ექსპლუატაციის შემთხვევები. კერძოდ, ბავშვებს უხდებოდათ თაფლიანი ასაკთან შეუსაბამო შრომითი სამუშაოების შესრულება სხვადასხვა კერძო სამუშაოებზე, რაც საფრთხეს უქმნიდა ბავშვების განათლებისა და ჯანდაცვის უფლების ეფექტიან აღსრულებას. განსაკუთრებით აქტუალურია საკურორტო ადგილებში, ზღვის სანაპიროზე ბავშვთა შრომის საკითხი.
- საკმაოდ ხშირია ბავშვთა შრომის საფუძველზე სკოლის მიტოვების შემთხვევები და ოჯახებში სემონური სამუშაოების შესრულების მიზეზით სკოლის გაცდენის ფაქტები. (შრომის გამო სკოლის მიტოვების მაჩვენებელია: საბაზო განათლების დასრულების შემდეგ 924 შემთხვევა, ხოლო საბაზო განათლების დასრულებამდე – 241 შემთხვევა.)
- პრობლემატურია ბავშვთა შრომითი მიგრაციის საკითხი. აიპ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ კვლევის შედეგების მიხედვით, არასრულწლოვნებს ქვეყნის გარეთაც უხდებოდათ სემონურად სხვადასხვა სამუშაოს შესრულება არანორმირებულ და ზეგანაკეთიერ საუშაო პირობებში. კერძოდ, აჭარისა და გურიის რეგიონებში მცხოვრები არასრულწლოვნები სემონურად საშუალოდ 9 საათს მუშაობენ მძიმე და შრომატევად სამუშაოზე თურქეთის სახელმწიფოს გერიტორიაზე.
- პრობლემატურია არასრულწლოვანთა შრომის უკიდურესი ფორმების აღმოფხვრისა და დროული რეფერირების საკითხი, განსაკუთრებით კი, ბავშვთა გრეფიკინგის, პროსტიტუციაში ჩაბმის, პორნოგრაფიული ნაწარმოების უკანონო დამზადებასა და გასაღების საქმეებზე დაწყებული გამოძიებისა და სამართალდამცავთა განხორციელებული ღონისძიებების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულია შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა, სახელმწიფოს არ აქვს ქმედითი მექანიზმი ბავშვთა შრომითი უფლებების მონიტორინგისთვის. ასევე, პროგრამა არ აღგენს არასრულწლოვანთა შრომითი პირობების მონიტორინგის სპეციფიკურ რეგულაციებს.

წყარო: ეკ ქარდავა, [დასაქმებულთა უფლებები: საერთაშორისო მიდგომები, ასოცირების შეთანხმების ვალდებულებები, საქართველოს რეალობა, რეფორმები, მიმართება ევროპასთან](#)

ომბუდსმენის [2019 წლის ანგარიშში](#) (სექცია 21.7) აგრეთვე საუბარია მომუშავე ბავშვებზე და ბავშვთა გრეფიკინგზე.

3.2 პასუხისმგებელი უწყების ადექვატური საქმიანობა (გარდა მონიტორინგისა, კანონშემოქმედებისა და ანგარიშგებისა)	0
---	---

ინფორმაცია არ არის

3.3 ვალდებულების შესრულების მონიტორინგი	0
---	---

ინფორმაცია არ არის

3.4 ვალდებულების შესრულების შესახებ ანგარიშგება	0
---	---

ინფორმაცია არ არის

ვალდებულება 1-3ა. შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა

შესაბამისობა [ILO კონვენცია №111](#)-თან და დირექტივებთან: [2000/43/EC](#) და [2000/78/EC](#)
 ვადა: არ არის დადგენილი

ჯამური შეფასება	0.54
-----------------	------

1.1 რეფორმისთვის გამოყოფილი დროის შესაბამისობა	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.2 პასუხისმგებელი უწყების კომპეტენცია და შესაძლებლობა	3
--	---

მოთხოვნის შესრულების შემონემაზე პასუხისმგებელია შრომის ინსპექცია. მის კომპეტენციაზე პრეტენზიები ჯერ არ არის

1.3 მოსალოდნელი ან მონიტორინგისას გამოვლენილი პრობლემების შესწავლა და განეიტრალება/რეაგირება	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.4 პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა	3
---	---

კანონპროექტის მომზადებაში დაინტერესებული მხარეები ჩართულნი იყვნენ.

2.1 ვალდებულების იურიდიული ბაზის უზრუნველყოფა	4
---	---

იურიდიული ბაზა შექმნილია ([საქართველოს შრომის კოდექსი](#) მ.4-9)

2.2 ვალდებულების იურიდიული ბაზის მიღების და ამოქმედების დროულობა	0
--	---

ვადა იყო 2017 წლის 1 სექტემბერი. განხორციელდა 3 წლის დაგვიანებით.

2.3 ვალდებულების იურიდიული ბაზის ამოქმედება	4
---	---

ცვლილება ძალაშია 2020 5 ოქტომბრიდან.

3.1 ვალდებულების შესრულების შედეგად მიღებული ეფექტი (სამიზნესთან მიმართებაში)	1
---	---

შრომითი დისკრიმინაცია სრულად აღმოფხვრილი არ არის. (მაგ. ვაკანსიის განცხადებები, რომელიც შეიცავს მითითებას პრეტენდენტის სასურველ სქესზე, ასაკზე. მაგ ეს: <https://www.facebook.com/photo?fbid=415236276214737&set=gm.2848333072051641>)

არ არის აღმოფხვრილი აგრეთვე სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე (იხ. ომბუდსმენის [2019 წლის ანგარიში](#)):

სახალხო დამცველის მიერ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შესწავლილი საქმეები ცხადყოფს, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტები განსაკუთრებული სიმწვავეით სამუშაო ადგილზე და შემაწირვების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ხდება. შემაწირვების ქცევა გამოიხატებოდა ვერბალურ, არავერბალურ და ფიზიკური სახის სექსუალური ხასიათის ქმედებაში - კერძოდ, შემაწირვების მიერ მსხვერპლის სხეულის ცალკეულ ნაწილებზე შეხებასა და ინტიმურ კომენტარებში; სექსუალური გამოცდილებისა და პრეფერენციების შესახებ საუბარში; სქესობრივი კავშირის შეთავაზებასა და სხვა.

3.2 პასუხისმგებელი უწყების ადეკვატური საქმიანობა (გარდა მონიტორინგისა, კანონშემოქმედებისა და ანგარიშგებისა)	0
---	---

ინფორმაცია არ არის

3.3 ვალდებულების შესრულების მონიტორინგი	0
---	---

ინფორმაცია არ არის

3.4 ვალდებულების შესრულების შესახებ ანგარიშგება	0
---	---

ინფორმაცია არ არის

ვალდებულება 1-3ბ - ქალის და მამაკაცის თანაბრობა სამუშაო ადგილზე

შესაბამისობა [ILO კონვენცია №100](#)-თან და დირექტივებთან [2006/54/EC](#), [2004/113/EC](#) და [79/7/EEC](#)

ვადა: 2017, 2018

ჯამური შეფასება	0.55
-----------------	------

1.1 რეფორმისთვის გამოყოფილი დროის შესაბამისობა	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.2 პასუხისმგებელი უწყების კომპეტენცია და შესაძლებლობა	1
--	---

მოთხოვნის შესრულების შემოწმებაზე პასუხისმგებელია შრომის ინსპექცია. მაგრამ მას არ გააჩნია თანაბარი მუშაობის დადგენის/შეფასების მეთოდოლოგია. და არც მოუმზადებია ის.
წყარო: <http://asocireba.ge/learn/?card=130>

1.3 მოსალოდნელი ან მონიტორინგისას გამოვლენილი პრობლემების შესწავლა და განეიტრალება/რეაგირება	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.4 პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა	3
---	---

დაინტერესებული მხარეები კანონის ცვლილების მომზადებაში ჩართულები იყვნენ

2.1 ვალდებულების იურიდიული ბაზის უზრუნველყოფა	3
---	---

შრომის კოდექსის შესწორება მიღებულია (იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5003141?publication=0>)

სამუშაოს შეფასების მეთოდოლოგია არ არის მიღებული
წყარო: <http://asocireba.ge/learn/?card=130>

2.2 ვალდებულების იურიდიული ბაზის მიღების და ამოქმედების დროულობა	1
--	---

ვადა იყო 2018 წლის 1 სექტემბერი. განხორციელდა 2 წლის დაგვიანებით

2.3 ვალდებულების იურიდიული ბაზის ამოქმედება	3
---	---

კანონი ამოქმედებულია, მაგრამ მეთოდის გარეშე სრულფასოვნად ვერ მუშაობს
წყარო: <http://asocireba.ge/learn/?card=130>

3.1 ვალდებულების შესრულების შედეგად მიღებული ეფექტი (სამიზნესთან მიმართებაში)	2
---	---

Global Gender Gap ცოტა შემცირდა, მაგრამ მაინც დიდია (იხ. http://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2020.pdf): 2020 მეIII კვარტალში კაცების საშუალო თვიური შემოსავალი იყო 1473 ლარი, ქალების - 978 ლარი (იხ. https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/2021_association_implementation_report_in_georgia.pdf გვ. 4)

3.2 პასუხისმგებელი უწყების ადეკვატური საქმიანობა (გარდა მონიტორინგისა, კანონშემოქმედებისა და ანგარიშგებისა)	0
---	---

ინფორმაცია არ არის

3.3 ვალდებულების შესრულების მონიტორინგი	0
---	---

ინფორმაცია არ არის

3.4 ვალდებულების შესრულების შესახებ ანგარიშგება	0
---	---

ინფორმაცია არ არის

ვალდებულება 1-4. დასაქმებულთა გაერთიანების თავისუფლება

შესაბამისობა ILO ფუნდამენტურ კონვენციებთან №87 და №98, აგრეთვე ILO კონვენცია №151-თან

ვადა: არ არის დადგენილი

ჯამური შეფასება	0.81
-----------------	------

1.1 რეფორმისთვის გამოყოფილი დროის შესაბამისობა	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.2 პასუხისმგებელი უწყების კომპეტენცია და შესაძლებლობა	3
--	---

საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირები აქტიურია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, იცავს დასაქმებულთა უფლებებს და იგებს ბევრ საქმეებს სასამართლოში. იხ. <http://gtuc.ge/>

1.3 მოსალოდნელი ან მონიტორინგისას გამოვლენილი პრობლემების შესწავლა და განეიტრალება/რეაგირება	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.4 პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა	0
---	---

ინფორმაცია არ არის

2.1 ვალდებულების იურიდიული ბაზის უზრუნველყოფა	4
---	---

ზოგადი ბაზა უზრუნველყოფილია ჯერ კიდევ [საქართველოს კონსტიტუციით](#) (22-ე მუხლი) და [1997 წლის კანონით პროფესიული კავშირების შესახებ](#), რომელიც 2018 წლიდან ჩანაცვლდა [2018 წლის კანონით](#) პროფესიული კავშირების შესახებ. ამის შემდეგ პროფკავშირების მხრიდან იყო მოთხოვნა პროფკავშირის ჩამოყალიბებისთვის დადგენილი წევრების მინიმალური რიცხვი კიდევ უფრო დაწულიყო, რომ მცირე სანარმოებში დასაქმებულებს ჰქონოდათ პროფკავშირის ჩამოყალიბების საშუალება. (ეს რაოდენობა კანონის 1997 წლის ვერსიაში იყო 100, 2012 წელს გახდა 50) 2020 წლის 5 ოქტომბერს ეს რიცხვი დაწიეს 25-მდე. ამდენად, ეს მოთხოვნაც დაკმაყოფილდა.

წყარო:

https://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:13100:0::NO:13100:P13100_COMMENT_ID:3344019:NO

2006 წლის შრომის კოდექსის მიღებით გაუარესდა კოლექტიური ხელშეკრულებების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა. 2013 წლის ცვლილებებით კანონში გაჩნდა მუხლი კოლექტიურ დავებთან დაკავშირებით (წყარო: ეკა ქარდავა, [დასაქმებულთა უფლებები: საერთაშორისო მიდგომები, ასოცირების შეთანხმების ვალდებულებები, საქართველოს რეალობა, რეფორმები, მიმართება ევროპასთან](#)). 2020 წელს [კოდექსს](#) დაემატა III კარი კოლექტიურ შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებით. კოდექსის XII თავი დეტალურად არეგულირებს კოლექტიურ შრომით ხელშეკრულებებს.

ევროკავშირთან შედარებით საქართველოში ბევრი დარგის მუშაკებს ეკრძალებათ გაფიცვა (მაგალითად ექიმებს, ტრანსპორტის მუშაკებს, დასუფთავების სამსახურების მუშაკებს, საჯარო მოსამსახურეებს. წყარო: <https://www.asocireba.ge/learn/?card=130>), თუმცა ILO მოთხოვნები მაინც დაკმაყოფილებულად უნდა მივიჩნიოთ.

2.2 ვალდებულების იურიდიული ბაზის მიღების და ამოქმედების დროულობა	0
--	---

ვადა დადგენილი არ ყოფილა

2.3 ვალდებულების იურიდიული ბაზის ამოქმედება	4
---	---

კოდექსის 2020 წლის შესაბამისი ცვლილებები სრულად ძალაშია.

3.1 ვალდებულების შესრულების შედეგად მიღებული ეფექტი (სამიზნესთან მიმართებაში)	3
---	---

პროფკავშირები არსებობს და აქტიურად იცავს თავისი წევრების ინტერესებს.

3.2 პასუხისმგებელი უწყების ადეკვატური საქმიანობა (გარდა მონიტორინგისა, კანონშემოქმედებისა და ანგარიშგებისა)	0
---	---

ინფორმაცია არ არის

3.3 ვალდებულების შესრულების მონიტორინგი	0
---	---

ინფორმაცია არ არის

3.4 ვალდებულების შესრულების შესახებ ანგარიშგება	0
---	---

ინფორმაცია არ არის

ვალდებულება 2-1ა. სახელმწიფოს ზრუნვა ადამიანთა დასაქმებაზე - დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა

შესაბამისობა [ILO პრიორიტეტულ კონვენციასთან №122](#)

ვადა: არ არის დადგენილი

ჯამური შეფასება	0.13
-----------------	------

1.1 რეფორმისთვის გამოყოფილი დროის შესაბამისობა	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.2 პასუხისმგებელი უწყების კომპეტენცია და შესაძლებლობა	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.3 მოსალოდნელი ან მონიტორინგისას გამოვლენილი პრობლემების შესწავლა და განეიტრალება/რეაგირება	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.4 პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა	0
---	---

ინფორმაცია არ არის

2.1 ვალდებულების იურიდიული ბაზის უზრუნველყოფა	4
---	---

2020 წლის ივლისში მიღებულია [კანონი "დასაქმების ხელშეწყობის შესახებ"](#), რომელიც ადგენს შრომის ბაზრის აქტიურ სახელმწიფო პოლიტიკას დამტკიცებულია:

- [საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგია](#)

2.2 ვალდებულების იურიდიული ბაზის მიღების და ამოქმედების დროულობა	0
--	---

ინფორმაცია არ არის

2.3 ვალდებულების იურიდიული ბაზის ამოქმედება	0
---	---

კანონი ძალაში შედის 2021-ს 1 სექტემბრიდან, ხოლო სოციალურად დაუცველების ვალდებულება დარეგისტრირდნენ სამუშაოს მაძიებელთა სიაში (მუხლი 33) - 2023-ის 1 სექტემბრიდან

3.1 ვალდებულების შესრულების შედეგად მიღებული ეფექტი (სამიზნესთან მიმართებაში)	0
---	---

ინფორმაცია არ არის

3.2 პასუხისმგებელი უწყების ადეკვატური საქმიანობა (გარდა მონიტორინგისა, კანონშემოქმედებისა და ანგარიშგებისა)	0
---	---

ინფორმაცია არ არის

3.3 ვალდებულების შესრულების მონიტორინგი	0
---	---

ინფორმაცია არ არის

3.4 ვალდებულების შესრულების შესახებ ანგარიშგება	0
---	---

ინფორმაცია არ არის

ვალდებულება 2-1ბ. სახელმწიფოს ზრუნვა ადამიანთა დასაქმებაზე - დასაქმების სამსახურები/სააგენტოები

შესაბამისობა [ILO კონვენცია № 88](#) და [ILO კონვენცია №181](#)-თან

ვადა: არ არის დადგენილი

ჯამური შეფასება	0.31
-----------------	------

1.1 რეფორმისთვის გამოყოფილი დროის შესაბამისობა	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.2 პასუხისმგებელი უწყების კომპეტენცია და შესაძლებლობა	2
--	---

2020 წლიდან ამოქმედდა [დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო](#) (მანამდე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ჰქონდა დასაქმების სერვისები). 2020-ს ბოლოსთვის სრული დატვირთვით მუშაობს სათავო ოფისი და 10 რეგიონული ოფისი (აქედან 5 თბილისშია განთავსებული. 2021-ს I ნახევარში ამოქმედდება კიდევ 5 ოფისი.

1.3 მოსალოდნელი ან მონიტორინგისას გამოვლენილი პრობლემების შესწავლა და განეიტრალება/რეაგირება	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.4 პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა	0
<i>ინფორმაცია არ არის</i>	
2.1 ვალდებულების იურიდიული ბაზის უზრუნველყოფა	0
<i>ინფორმაცია არ არის</i>	
2.2 ვალდებულების იურიდიული ბაზის მიღების და ამოქმედების დროულობა	0
<i>ინფორმაცია არ არის</i>	
2.3 ვალდებულების იურიდიული ბაზის ამოქმედება	0
<i>ინფორმაცია არ არის</i>	
3.1 ვალდებულების შესრულების შედეგად მიღებული ეფექტი (სამიზნესთან მიმართებაში)	1

დასაქმების საიტი <http://worknet.gov.ge> შექმნილია, მაგრამ საკმაოდ არაეფექტურია. ამის დასტურია:

1. მაღალი უმუშევრობის დონე (იხ.

https://www.ilo.org/gateway/faces/home/ctryHome?locale=EN&countryCode=GEO®ionId=2&_adf.ctrl-state=yth6r5io0_9):

Georgia



Key statistics			
Unemployment rate (%)	Share of youth not in employment, education or training (NEET) (%)	Employment-to-population ratio (%)	Average monthly earnings of employees (local currency)GEL:Lari
11.57 2019	26.0 2019	55.65 2019	1068.27 2018

ეს ციფრები არაზუსტია. 2020-დან შეიცვალა დათვლის მეთოდოლოგია და შედეგად 2019 წლის უმუშევრობის დონე გადაანგარიშდა 17,6%-ად. 2020-ის პირველ ნახევარში 18,3%-ს მიაღწია, III კვარტალში კი 17%-მდე შემცირდა (წყარო: [ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ](#))

2. ახალგაზრდა უმუშევრები (რომელთა დიდი უმრავლესობა ინტერნეტს ყოველდღიურად იყენებს) სამუშაოს არქონის ძირითად მიზეზად დასაქმების სერვისების არარსებობას და ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის არქონას ასახელებენ - [ახალგაზრდების საჭიროების კვლევა 2020, გვ3-4](#)

3.2 პასუხისმგებელი უწყების ადეკვატური საქმიანობა (გარდა მონიტორინგისა, კანონშემოქმედებისა და ანგარიშგებისა)	2
---	---

უწყება ირწმუნება, რომ მისი საქმიანობის შედეგად [7000 ადამიანი დასაქმდა](#)

3.3 ვალდებულების შესრულების მონიტორინგი	0
---	---

ინფორმაცია არ არის

3.4 ვალდებულების შესრულების შესახებ ანგარიშგება	0
---	---

ინფორმაცია არ არის

ვალდებულება 2-1გ. სახელმწიფოს ზრუნვა ადამიანთა დასაქმებაზე - პროფესიული განათლება

შესაბამისობა [ILO კონვენცია №142-თან](#)

ვადა: არ არის დადგენილი

ჯამური შეფასება	0.31
-----------------	------

1.1 რეფორმისთვის გამოყოფილი დროის შესაბამისობა	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.2 პასუხისმგებელი უწყების კომპეტენცია და შესაძლებლობა	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.3 მოსალოდნელი ან მონიტორინგისას გამოვლენილი პრობლემების შესწავლა და განეიტრალება/რეაგირება	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.4 პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა	0
---	---

ინფორმაცია არ არის

2.1 ვალდებულების იურიდიული ბაზის უზრუნველყოფა	3
---	---

2018-ში პარლამენტმა მიიღო ახალი [კანონი პროფესიული განათლების შესახებ](#)

2.2 ვალდებულების იურიდიული ბაზის მიღების და ამოქმედების დროულობა	0
--	---

ვადა დადგენილი არ ყოფილა

2.3 ვალდებულების იურიდიული ბაზის ამოქმედება	0
---	---

ინფორმაცია არ არის

3.1 ვალდებულების შესრულების შედეგად მიღებული ეფექტი (სამიზნესთან მიმართებაში)	1
---	---

პროფესიული განათლების მიმზიდველობა დაბალია

3.2 პასუხისმგებელი უწყების ადეკვატური საქმიანობა (გარდა მონიტორინგისა, კანონშემოქმედებისა და ანგარიშგებისა)	0
---	---

ინფორმაცია არ არის

3.3 ვალდებულების შესრულების მონიტორინგი	0
---	---

ინფორმაცია არ არის

3.4 ვალდებულების შესრულების შესახებ ანგარიშგება	0
---	---

ინფორმაცია არ არის

ვალდებულება 2-2. შრომის სახელმწიფო ინსპექცია

შესაბამისობა ILO პრიორიტეტულ კონვენციებთან [№81](#) და [№129](#)

ვადა: არ არის დადგენილი

ჯამური შეფასება	0.75
-----------------	------

1.1 რეფორმისთვის გამოყოფილი დროის შესაბამისობა	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.2 პასუხისმგებელი უწყების კომპეტენცია და შესაძლებლობა	2
--	---

ქვეყანაში შექმნილია და ფუნქციონირებს [შრომის ინსპექცია](#) (შეიქმნა 2015 წელს და თავიდან ეს იყო შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. 2020 წლის ნოემბრიდან კი ეს არის სსიპ – [შრომის ინსპექციის სამსახური](#)).

შრომის მთავარი ინსპექტორი დანიშნულია ([ბექა ფერაძე](#)). მიმდინარეობს შრომის ინსპექტორების ინტენსიური ტრენინგები. ინსპექცია, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, ჩამოყალიბების პროცესშია.

1.3 მოსალოდნელი ან მონიტორინგისას გამოვლენილი პრობლემების შესწავლა და განეიტრალება/რეაგირება	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.4 პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა	2
---	---

[შრომის ინსპექციის შესახებ კანონი](#) მე-9 მუხლის მიხედვით, შრომის მთავარ ინსპექტორთან უნდა შეიქმნას 7 წევრიანი მრჩეველთა საბჭო, რომელშიც უნდა იყვნენ:

- ა) სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მხარის – დასაქმებულთა გაერთიანებების ყველა წევრისგან დასახელებული 2 წარმომადგენელი;
- ბ) სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მხარის – დამსაქმებელთა გაერთიანებების ყველა წევრისგან დასახელებული 2 წარმომადგენელი;
- გ) საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის 1 წევრი; საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის 1 წევრი;
- დ) საქართველოს სახალხო დამცველის 1 წარმომადგენელი.
- მრჩეველთა საბჭოს I სხდომა მოწვეული უნდა იქნას 2021 წლის 1 აპრილამდე (იხ. [კანონის 22-ე მუხლი](#)).

2.1 ვალდებულების იურიდიული ბაზის უზრუნველყოფა	4
---	---

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის [2019 წლის ანგარიშიდან](#):

"2018 წელს შემუშავებულ იქნა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც პირველ ეტაპზე მომეტებული საფრთხის შემცველ ობიექტებზე ინსპექტირების განხორციელების სავალდებულო მანდატს ანებსება, ხოლო 2019 წლის ცვლილებების შედეგად, შრომის უსაფრთხოების კანონს ორგანული კანონის სტატუსი მიენიჭა, რომლის მიხედვითაც შრომის ინსპექციის მანდატი გაიზარდა, რაც ზედამხედველი უწყების მიერ დღე-ღამის ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე ინსპექტირების განხორციელების უფლებას გულისხმობს. ამასთანავე, 2019 წლის 1 სექტემბრიდან ორგანული კანონი ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე გავრცელდა".

2020 წლის სექტემბერში მიღებული იქნა [კანონი შრომის ინსპექციის შესახებ](#), რომლის მიხედვით შრომის ინსპექცია აკონტროლებს როგორც შრომის უფლებების დაცვას, ასევე შრომის უსაფრთხოებას.

აგრეთვე მიღებულია:

- [შრომის ინსპექციის სამსახურის დებულება](#)
- [შრომის ინსპექტორთა ქცევის კოდექსი](#)
- [ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების \(ინსპექტირების\) წესი და პირობები](#)
- [მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმებისას შერჩევითი კონტროლის წესი და პირობები](#)
- [18 წლამდე ასაკის პირისთვის მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალი](#)
- [ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მეთოდებისა და რისკის შეფასების წესი](#)

ყოველწლიურად მტკიცდება ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამა:

- [შრომის პირობების ინსპექტირების 2020 წლის სახელმწიფო პროგრამა](#)

2.2 ვალდებულების იურიდიული ბაზის მიღების და ამოქმედების დროულობა	0
--	---

ვადა დადგენილი არ ყოფილა

2.3 ვალდებულების იურიდიული ბაზის ამოქმედება	4
---	---

ნორმატიული ბაზა სრულად ძალაშია

3.1 ვალდებულების შესრულების შედეგად მიღებული ეფექტი (სამიზნესთან მიმართებაში)	3
---	---

უსაფრთხოების მდგომარეობის გაუმჯობესება დაწყებულია. იწყება დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობის მონესრიგება.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის [2019 წლის ანგარიშიდან](#):

"კანონის მიღების, მანდატის გაზრდის, სარეკომენდაციო/სავალდებულო ხასიათის ინსპექტირებებისა და ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელებული ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების შედეგად ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების კულტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა დადებითი მიმართულებით. ამაზე მეტყველებს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შემცირების მაჩვენებელი. აღსანიშნავია, რომ წინა წელთან⁴ შედარებით 2019 წლისათვის სამუშაო სივრცეში მომხდარი ფატალური შემთხვევების რაოდენობამ 24%-ით, ხოლო სამუშაო სივრცეში დაშავებულთა რაოდენობამ კი დაახლოებით 16 %-ით იკლო. გარდა ამისა, წინა წელთან შედარებით შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნის მიზნით ზედამხედველობა დაახლოებით 9-ჯერ მეტ დასაქმებულ პირს შეეხო.⁵ აღნიშნული სტატისტიკური მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ, 2015 წლიდან შრომის უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელებული რეფორმები შედეგისმომცემია, რაც მიღწეული იქნა ქმედითი და დაბალანსებული საზედამხედველო პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელებით."

3.2 პასუხისმგებელი უწყების ადექვატური საქმიანობა (გარდა მონიტორინგისა, კანონშემოქმედებისა და ანგარიშგებისა)	3
---	---

[კანონის](#) მე-13 მუხლის მიხედვით ინსპექტირების დაწყების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) დაინტერესებული პირის საჩივარი

ბ) საკუთარი ინიციატივით, „[ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების \(ინსპექტირების\) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ](#)“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად. კერძოდ, ეს დადგენილება (მუხლი 11) უშვებს:

- გეგმურ შემოწმებებს, რომლისთვისაც პრიორიტეტული დარგები განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით ([პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მეთოდიკა და რისკის შეფასების წესი](#)), ხოლო "კონკრეტული ორგანიზაციების ჩამონათვალი, რომელიც უნდა შემოწმდეს

⁴ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2018 წელს შრომითი მოვალეობის შესრულებისას დაშავდა 199 , ხოლო გარდაიცვალა 59.

⁵ 2018 წელს შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნის მიზნით ზედამხედველობა შეეხო დაახლოებით 11 000-მდე დასაქმებულს, 2019 წელს კი დაახლოებით 90 000 დასაქმებულს.

დადგენილი პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, განისაზღვრება აქტის გამოცემაზე უფლებამოსილი შრომის ინსპექციის ხელმძღვანელის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით."


- და არაგეგმური ინსპექტირებები, რომელიც ხორციელდება "შრომის ინსპექციის ხელმძღვანელის გადანყვეტილების საფუძველზე":
 - ა) სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ორგანიზაციების, მოქალაქეების მომართვების, საჩივრების, „ცხელ ხაზზე“ შემოსული შეტყობინებებისა და ა.შ. (გონივრულობის ფარგლებში, საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას) საფუძველზე;
 - ბ) ობიექტზე მომხდარი უბედური შემთხვევის მოკვლევის მიზნით ან/და ასეთი შემთხვევის მოხდენის თაობაზე ეჭვის არსებობის საფუძველზე;
 - გ) ობიექტზე მომხდარი ისეთი ავარიის შემთხვევაში, რომელსაც არ მოჰყოლია უბედური შემთხვევა;
 - დ) თუ გამოვლინდა ისეთი გარემოებები, რაც მიუთითებს ობიექტზე დასაქმებულთა პროფესიული დაავადებების თაობაზე."

გ) "შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ნორმების დარღვევის თაობაზე ნებისმიერი იდენტიფიცირებადი პირის შეტყობინების საფუძველზე.

ამ სქემის მიხედვით ინსპექცია სანარმოებს ამოწმებს. მისდამი პრეტენზიები ჯერ არ გაჟღერებულა. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2019 წლის ანგარიშიდან:

2015 წლიდან 2019 წლის პერიოდში დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირებები წლებისა და სახეობების მიხედვით წარმოდგენილია №1 დიაგრამაზე:

დიაგრამა №1



წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

3.3 ვალდებულების შესრულების მონიტორინგი	0
---	---

ინფორმაცია არ არის

3.4 ვალდებულების შესრულების შესახებ ანგარიშგება	3
---	---

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი აქვეყნებს რეგულარულ ანგარიშებს:
<https://www.moh.gov.ge/ka/728/>

ვალდებულება 2-3. სამმხრივი სოციალური დიალოგი

შესაბამისობა [ILO კონვენცია №144](#)-თან

ვადა: არ არის დადგენილი

ჯამური შეფასება	0.46
-----------------	------

1.1 რეფორმისთვის გამოყოფილი დროის შესაბამისობა	0
--	---

ინფორმაცია არ არის

1.2 პასუხისმგებელი უწყების კომპეტენცია და შესაძლებლობა	3
--	---

სამმხრივი კომისია კომპეტენტური ადამიანებისგან არის დაკომპლექტებული.

1.3 მოსალოდნელი ან მონიტორინგისას გამოვლენილი პრობლემების შესწავლა და განეიტრალება/რეაგირება	1
--	---

კომისიის მუშაობის არაეფექტურობა ცნობილია, მაგრამ გამოსასწორებლად არაფერი კეთდება.
წყარო: [სოციალური დიალოგი საქართველოში. პაატა ბელთაძე მაისი 2020](#)

1.4 პროცესის გამჭვირვალობა და საჯაროობა	3
---	---

კომისიის შექმნაში დანტერესებული მხარეები ჩართულნი იყვნენ

2.1 ვალდებულების იურიდიული ბაზის უზრუნველყოფა	4
---	---

[შრომის კოდექსის](#) VII კარი ქმნის კომისიის იურიდიულ საფუძველს. დამტკიცებულია აგრეთვე [სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულება](#)

2.2 ვალდებულების იურიდიული ბაზის მიღების და ამოქმედების დროულობა	0
--	---

ვადა დადგენილი არ ყოფილა

2.3 ვალდებულების იურიდიული ბაზის ამოქმედება	4
---	---

იურიდიული ბაზა ძალაშია

3.1 ვალდებულების შესრულების შედეგად მიღებული ეფექტი (სამიზნესთან მიმართებაში)	0
---	---

კომისიის პრაქტიკულად არ აქვს ზეგავლენა დასაქმებულთა მდგომარეობაზე.
წარმომადგენლები ერთ ხმაში, კოორდინებულად მოქმედებდნენ, რათა მუდმივი იგნორირების რეჟიმში ჩაეყენებინათ დასაქმებულთა ლეგიტიმური მოთხოვნები.

